

## ესეების კონკურსის სატენდერო პირობები

### კლასები და ენა

ესეების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების X კლასის მოსწავლეები. კონკურსი ჩატარდება ინგლისურ ენაზე.

### ვადები

კონკურსი ჩატარდება სამ ტურად. პირველი და მეორე ტურები ჩატარდება წერიით, ხოლო მესამე ტური - პრეზენტაცია/გასაუბრების ფორმით.

ესეების კონკურსის პირველი და მეორე ტური ასევე, პრეზენტაცია/გასაუბრება უნდა ჩატარდეს 2021 წლის მარტიდან - ივნისის ჩათვლით (კონკრეტული თარიღები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით).

კონკურსის პირველი ტურის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო მეორე და მე-3 ტურების ჩატარების ორგანიზებას - ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი, სამინისტროსთან შეთანხმებული პირობებით.

### მომსახურება

1. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა სამინისტროში შესათანხმებლად უნდა წარმოადგინოს კომისიის შემადგენლობა (მინიმუმ 3 წევრი) შესაბამის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად:
  - უმაღლესი (მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი) განათლება;
  - წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი შესაბამის საგანში.
2. ესეების კონკურსის II ტურის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა სამინისტროს უნდა მიანდოს:
  - II ტურის დაბეჭდილი კოდირებული სამუშაო ფურცელი (ესეს თემატიკას და დასაბეჭდი ფურცლის ფორმატს გადასცემს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).
  - მეორე ტურის დამკვირვებელთა მონაცემები

კონკურსანტის ნამუშევრის შეფასებისას:

პირველი და მეორე ტურის ნამუშევარი ესე ასევე, პრეზენტაცია/გასაუბრება უნდა შეფასდეს წინასწარ შემუშავებული (სამინისტროს მიერ მიწოდებული) სქემის/რუბრიკის საშუალებით, სადაც მოცემული იქნება შეფასების ძირითადი კრიტერიუმები შინაარსისა (იდეა, აზრი) და ენობრივი მხარის (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა, პუნქტუაცია) გათვალისწინებით (თემატიკას და შეფასების კრიტერიუმებს გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

## ესეების კონკურსის ჩატარება

ესეების კონკურსი ჩატარდება სამ ტურად. პირველ ტურს ჩაატარებს სამინისტრო.

### 1. მეორე ტური

- მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს ჯამში არაუმეტეს 60 მოსწავლისა;
- მეორე ტური უნდა ჩატარდეს წერიითი ფორმით ქ. ბათუმში სამინისტროს მიერ გამოყოფილ სივრცეში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, გათბობით, სველი წერტილებით;
- საგამოცდო სივრცის მოწყობა მოეთხოვება **ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას**, რაშიც იგულისხმება: მოსწავლეთა რეგისტრაციისთვის გამოყოფილი სივრცის ორგანიზება, მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი ინდივიდუალური მერხი და სკამის განლაგება, კალამი, დაყოფილი სივრცეების ორგანიზება, მიმართულების განმსაზღვრელი ნიშნების განთავსება;
- მეორე ტური უნდა მიმდინარეობდეს დამკვირვებელთა მეთვალყურეობის ქვეშ, 20 მოსწავლეზე უნდა იყოს სულ მცირე 1 დამკვირვებელი. დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს ინგლისური ენის სპეციალისტი;
- კონკურსში მონაწილეების გადანაწილება უნდა მოხდეს წინასწარ შედგენილი სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით, გადანაწილება უნდა მოხდეს ორგანიზებულად, მონაწილეებმა რეგისტრაციის გავლისას უნდა მიიღონ ინფორმაცია სამუშაო აუდიტორიისა და სართულის შესახებ
- მეორე ტური უნდა დაიწყოს განსაზღვრულ დროს, კოდირებული სამუშაო ფურცელი და სარეგისტრაციო ფურნალები თითოეულ აუდიტორიაში უნდა შევიდეს დალუქული კონვერტით, რომელსაც იბარებს დამკვირვებელ(ებ)ი.
- დამკვირვებელი მონაწილეებს დეტალურად უხსნის კონკურსში მონაწილეობის წესს, განუსაზღვრავს დროს (შესაბამისად ყველა აუდიტორიაში უნდა იყოს გასწორებული საათი), მონაწილეების თვალწინ ხსნის დალუქულ კონვერტს და სარეგისტრაციო ფურნალის. შესაბამისად, თითოეულ მონაწილეს გადასცემს მისთვის განკუთვნილ სამუშაო ფურცელს (სამუშაო ფურცელსა და სარეგისტრაციო ფურნალში მონაწილის გასწვრივ ჩანერილი უნიკალური კოდი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს). ტესტზე მუშაობის დროის ამონურვის შემდგომ იბარებს კონკურსანტის ნამუშევარს. მოსწავლის მიერ სამუშაო ფურცლის მიღება და დაბრუნება უნდა დადასტურდეს ხელმოწერით. დამკვირვებელი პასუხისმგებელია ზოგადი დისციპლინისა და კონკურსის ჩატარების წესების დაცვის უზრუნველყოფაზე

- ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შერჩეული კომისიის წევრები მეორე ტურში მონაწილეთა ნამუშევრებს შეაფასებენ შესაბამისი ქულით რასაც დაადასტურებენ ხელმოწერით.
- ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მეორე ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა სამინისტროში წარმოადგინოს მეორე ტურის შედეგები ელექტრონული და მატერიალური სახით
- **მეორე ტურის სამუშაო ფურცლის ფორმატი/დიზაინი შეთანხმებული უნდა იყოს სამინისტროსთან.** მეორე ტურის სამუშაო ფურცელი უნდა იყოს:
  - A3 ფორმატის თაბახის ფურცელი გაკეცილი A4 ზომაზე, სულ ოთხ გვერდიანი.
  - სამუშაო ფურცლის პირველ გვერდზე დატანილი უნდა იყოს კონკურსის ფერადი ლოგო და კონკურსანტის საიდენტიფიკაციო კოდი
  - შიდა გვერდზე უნდა იყოს მითითებული კომისიის მიერ შერჩეული ესეს სათაური და შესრულების პირობა (მაგ. რამდენი სიტყვისგან უნდა შედგებოდეს ესე, შეფასების მაქ. ქულა, მუშაობის ხანგრძლივობა და სხვ.)
  - ასევე, სამუშაო ფურცლის მეორე და მესამე გვერდი უნდა იყოს დახაზული.

## 2. მესამე ტური

- პრეზენტაცია/გასაუბრება უნდა ჩატარდეს ქალაქ ბათუმში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში;
- სასტუმროში უნდა იყოს მოწესრიგებული სამგზავრო ლიფტი და სველი წერტილები;
- დარბაზში უნდა იყოს შესაბამისი გათბობა/გაგრილება და განათება;
- ტრიბუნა, ეკრანი, პროექტორი, 2 დისტანციური მიკროფონი, ლეპტოპი;
- კომისიის წევრებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მაგიდა და სკამები;
- დარბაზში უნდა იყოს განთავსებული მინიმუმ 20 სკამი;
- წყალი და ჭიქები 50 ადამიანზე;
- ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ დაკომპლექტებულმა კომისიამ უნდა შეაფასოს კონკურსანტები წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და შედეგები არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა მიაწოდოს სამინისტროს ელექტრონული და მატერიალური სახით

## პროცედურული დარღვევებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის პირველი ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე წარმოშობილი დავები განიხილება რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ;
2. მეორე ტურის და მესამე ტურის - პრეზენტაცია/გასაუბრების პროცედურულ დარღვევებზე წარმოშობილი პრეტენზიები და შედეგების თაობაზე წარმოშობილი დავები განიხილება ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ.

